

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე, 2007 წელს, ღამისთვევის ლოცვის შემდეგ, აბბა ალავერდელმა მიჰ-როპოლიგმა დავითმა ალავერდის ცაძარში შეკრებილ მორწმუნე ერს დღესასწაული მიულოცა და გამგეთ „გგა და ჭეშმარიტების“ პირველი ნომერი დაურიგა. მაშინ ერთმა ერისკაცმა, მეუფის სულიერმა შვილმა თავისი სიხარული გაგვიჩიარა: მეუფებ სიტყვა გვაჩუქა, ამაბე დიდი რა უნდა ეჩუქებინაო. ამ ამბავმა გადაგვაწყვეტინა წინამდებარე წიგნის გამოცემა.

„დასაბამი სიტყვათა მათ შენთავ ჭეშმარიტება არს“ (ფსალმ. 118, 160). გაჩნდა სურვილი ჩვენი ეკლესის მრევლისთვის გაგვებიარებინა ჭეშმარიტების მსახურების ის სიხარული, რომელიც, როგორც ლვთის დიდი წყალობა, გვერგო ჩვენი მოძღვრის – მეუფებ დავითის გვერდით ყოფნით.

გვასსენდება, 20 წლის წინ როგორ მივისწრაფოდით გარეჯის უდაბნოში, სადაც მოძღვარი გვეგულებოდა – ღირსი მამა დავით გარეჯელის თბილ სამარხთან, მიწიერი სამშობლოს ღონიერი სიყვარულით და ზეციური სამშობლოს ტკიფილიანი მონაცრებით. გვახსენდება, ღამისთვევის ლოცვის შემდეგ, ცისკარგებ ძილთან ბრძოლით გათანგულებს სარკმელთან რომ დაგვაყენებდა და გვეუბნებოდა – ახლა ჩიფი მოფრინდება, ნახეთ... „ყოველი სული აქებდით უფალსა...“ გვიხაროდა, ლოცვიდან დაღლილები და ლვთის ძალით გამარჯვებულები გამოვლილით, გუყურებდით ჩვენი მოძღვრის მდებარე შრომას, ჩვენს სულებში კი ამ დროს თურმე კეთილ-სურნელოვანი ვარდი იშლებოდა „ჩეუმი ხმაურით – კვირგის გაშლის, ტკაცანის და ყვავილის ფურცლების შრიალის – სიცოცხლის ამ უფყუარი და ძლიერი ნიშნის მსგავსი, რომელსაც აქვს ძალა მთელ ქვეყანას დაანახოს იმ შემართების და სიტყვის მშვენიერება, რომელიც უფლისთვის თავდაღებას და ქრისტეს სასძლოდ საკუთარი თავის განმგადებას – მონაბეჭობას აქვს“.

გარეჯთან განშორება ყველას გაგვიჭირდა. მოგვიანებით მეუფე იტყვის: „თითოეული ქართველისთვის და-ვითგარეჯის უდაბნო-მონასტერი იყო, არის და იქნება ადგილი ლვთის დიდებისა და უფლის მშვენიერებისა“.

მეუფე დავითის სამღვდელმთავრო მსახურებით დაიწყო ჩვენი მონაბეჭორი ცხოვრებაც.

„ჭირი მოთმინებასა შეიქმნა, ხოლო მოთმინებამ – გამოცდილებასა, ხოლო გამოცდილებამ – სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინის“ (რომ. 5, 3-5). საკუთარი თავის შეცნობის გბაზე, მონაბეჭორი განსაცდელების „რკინის სახმილში“ ერთადერთი მაგრილებელი იყო მოძღვრის თავდაბლობით ნათქვამი ლვთივბოძებული სიტყვა. ჩვენს ქედმაღლობას კი მხოლოდ მაშინ ვხედავდით, როცა მოძღვარი-მღვდელმთავარი გვასწრებდა თქმას: „მემინდეთ და მომიხსენეთ“... გვრცხვენოდა, ვმდაბლდებოდით და თავისმოყვარების საბარელი ვნება უკან იხევდა. „ქრისტემან, ჭეშმარიტად უფალმან ჩვენმან ვითარცა ვენახი დაასხა სიყვარული ჩვენ შორის, რამეთუ თვინიერ მისსა არავის ძალუმს დამტკიცებად სარწმუნოებისა, ვითარცა კლდესა ზედა, შერყეულთა გელთა და გონებათა ჩვენთა... რამეთუ ღმრთისა რისხვასა უსწვრის მისმან წყალობამან, მყვნა მე საწყალო-ბელი მღვდელმთავრად, ვითარცა პეტრესა მეტყველმან: „დამწყსე ცხოვარნი ჩემნი“...

და რამეთუ ღმრთისა მიერ ყოველივე შესაძლებელ არს, ვსასოებ მისსა კაცომოყვარებასა, ვითხოვ შეწევნასა, რათა განკურნოს სული ჩემი და მე შეუძლო მის მიერ წინამდომა თქუენი. რამეთუ ძალი და გბამ ცხოვნებისა თქვენ ხართ ჩემი. ვითარცა იტყვის მოციქული, ურთიერთას სიმძიმე და სიყვარული იტვირთეთ და ესრეთ ადასრულეთ სჯული ღმრთისა და ჯვარი ჩვენი სატვირთავი ტკბილ ქმნას და ტვირთი მსუბუქ და გვასმის ხმა იგი სანაცრელი: „მოვედით კურთხეულნო მამისა ჩემისანო და დაიმკვიდრეთ ადგილი განმგა-დებული“ – გვწერდა მეუფე.

წინ დიდი ბრძოლა იყო გადასახდელი. „ასეთია მაცდურის ხელოვნება: მოძღვრის წინააღმდეგ გულისსიტყვებს გიგბავნის, შენს მფარველ მაღლს რომ დაგაშოროს, დამნაშავედ გაქციოს, შემდეგ კი უმოწყალოდ გვვე-მოს... როგორ პასუხისმგებლობასა და სიმძიმეს იღებს მოძღვარი, როგორ იტანჯება, ვიდრე უღირსი სულის-გან ღირსეულს შექმნის და სამოთხეში დაამკვიდრებს... ყოველი სასტიკი სიტყვით, რომელსაც განსაცდელის დროს ეუბნებით მოძღვარს, შხამს ასმევთ მის სულს... შენი მოძღვრის სუნთქვას მიეწებე... მორჩილება ნიშნავს, სულის ამაოდბრძობა ლვთის სწავლებას დავუმორჩილოთ, საკუთარი მწიკვლისგან რომ გავთავისუფლდეთ“ (ბერი იოსებ ათონელი). საკუთარი თავის გათავისუფლების ფიცხელ ბრძოლაში ვგრძნობდით, როგორ ვცდი-დით მოძღვრის მოთმინებას. შიშიც გვიძყრობდა: გაუძლებს?! როდემდე?! რომ ვეღარ მოგითმინოს, ხომ დაი-

დუპები?! „მოთმინებად იობისი გასმიეს, და აღსასრული უფლისად იხილეთ, რამეთუ მრავალ-მოწყალე არს და შემწყნარებელ“ (იაკ. 5, 11). მოძღვრის ღვთის სასოებაში გამოხატული რწმენა ჩვენთვის სასწაულებს ახდენ-და, რომ გავმხდარიყავით გონიერები – რწმენით ცოდნაზე აღმატებულები. „მოირტყენით წელნი გონებათა თქუენთანი, ფრთხილ-იყუენით, სრულიად ესევდით მოწევნულსა მას თქუენდა მადლსა გამოცხადებასა იესო ქრისტესსა. ვითარცა შვილი მორჩილებისანი და ნუ თანა-ხატ-ექმნებით პირველთა მათ უმეცრებისა თქუენისა გულის-თქუმათა“ (პეტრ. 1, 13-14) – გვახსენდება ჩვენი მოძღვრის სიხარული, როცა „გონიერებს“ გვხედავდა.

მეუფის სიხარული ყოველთვის ტკივილში იბადებოდა, ჩვენ კი მისი გამზიარებლები ვხდებოდით „ძალი-საებრ ჩვენისა“. ტკივილის თვისებაა, ორჭოფობის ბეწვის ხილტე გატაროს, რომ უარი თქვა ბრძოლაზე და განერილო... ჩვენ სულმოკლეობას ვიჩენდით, როცა დაღლილ მეუფეს ვხედავდით, ის კი თავიდან იწყებდა ბრძოლას.

1999 წლის მიწურულს მეუფეს მისმა სულიერმა შვილებმა ის ადგილი აჩვენეს, სადაც დღეს წმინდა იოანე ნათლისმცემლის სავანეა – ჩაკიდული თხემები. მაშინ არც კი ვფიქრობდით, რომ ამ ადგილას მონასტერი აშენდებოდა. თბილისში ყოფნისას მეუფე იქ ხშირად მიდიოდა – განმხოლოებისთვის. გარეჯსაც ახსენებდა გარემო „ფერითა და კლდოვანით“. „ეს ლოცვის ადგილია, აქ ერთი ქოხიც კი საკმარისია“ – ამბობდა. ჩვენ კი შეგვძრა ადგილის უდაბურებამ და სიმკაცრემ. ვერც დავფარეთ, ალბათ, გულიც ვატკინეთ: „ეს რა არის, აქ რა უნდა გავაკეთოთ, ამ ადგილს მხოლოდ თუ შევაკვდებით, სასაფლაოს ადგილია“. „ეს იქნება ცოდვებისა და ვნებების სასაფლაო, ბრძოლის უელი!“ – ასეთი იყო მეუფის პასუხი. და დაიწყო ბრძოლა... მხოლოდ ღვთის ნებით, ცრემლით და ოფლით არის შესაძლებელი მრავალი სულისთვის მყუდრო ნაგთსაყუდელის – ერთი მონასტრის აშენება. ღმერთმა ინება! „სადაც ეპისკოპოსია, იქ მონასტერია“ – ფიქრობდა მეუფე. პატრიარქმა გვაკურთხა! აღმშენებლებიც და კეთილისმყოფელებიც ღმერთმა გამოაჩინა. „მხოლოდ უფლის მოწყალებამ შეძლო ამ ადგილის ფერისცვალება. მოსახლეობა მას ჩაკიდულ თხემებს უწოდებს. ბრძოლა მართლაც ბევრი იქნება“ – ვკითხულობთ მეუფის ხელნაწერში.

2005 წელს უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II აქ დე-დათა მონასტრის დაარსება განაჩინა და სულიერ წინამდღოლად აბბა ალავერდელი მიგროპოლიტი დავითი დაადგინა.

„ეს მხოლოდ მომზადებაა ალავერდისთვის“ – ჯერ კიდევ მშენებლობისას ამბობდა მეუფე.

თურმე სული ახალი ბრძოლისთვის ემზადებოდა, რომელსაც მხოლოდ ერთი მამოძრავებელი ძალა აქვს – ქრისტეს სიყვარული! ამიტომ არ იცის დაღლა, ყოველ ჯერზე განახლდება და ღვთის სადიდებელ მშვენიერ ჰიმნად იქცევა.

ალავერდის დღესასწაულებს – ჯვართამაღლებას, ქეთევან წამებულისა და ღირსი იოსებ ალავერდელის სესენებას ღამისთევით ვაფარებდით. გვიჭირდა... ღამით ლოცვა, ღლისით – მუხლჩაუხრელი შრომა, ხალხის მიღება, გულისტკენა – როცა ნასვამები, ტაძარში მხოლოდ ამ დღეს საკლავით ან ფოგოპარაგით მოსულები, სჯულს გიმოწმებენ და გიწუნებენ კიდეც; მონასტრის მორღვეულ გალავანთან შეკრებილი ვაჭრები და კამათლით მოთამაშები – ქართველები, რომელთა ზნეშიც გვინდოდა, მაგრამ ძალიან გვიჭირდა ქართველობა აღმოგვეჩინა. ღამისთევებზე მხოლოდ „მცირე სამწყსო“ იდგა... 2005 წელს, ერთ-ერთი ღამისთევის შემდეგ, მეუფე ტაძრის გარშემოსავლელად გაემართა. უკან თავჩაქინდრული მივყვებოდით მონაბვნები – მამები და დედები; მონასტრის გალავანს კი სოფელი „აწყდებოდა“ თავისი ამაო ხმაურით, საკლავის მზადებით, აღმოსავლერი ვნებიანი სიმღერებით... „ღმერთო ჩემო, ნუ განმეშორები ჩემგან; ღმერთო ჩემო, შეწვნასა ჩემსა მომხედენ“ (ფსალმ. 70, 12). საკუთარ უძლურებას ამ სოფელთან გამკლავებაში თითოეული ჩვენგანი განსაკუთრებულად გრძნობდა. საეპისკოპოსო სახლის კიბესთან მისული მეუფე ტაძრისკენ მობრუნდა და ჩვენთვის მოულოდნელად ხელის აპყრობით წარმოთქვა: „ღირსო მამაო, შენ მიხედე აქაურობას“. ჩვენ, იქ მყოფები, მეუფის იმ ლოცვის მოწმენი გაფხდით, საკუთარი უძლურების უფსკრულიდან რომ აღმოხდება ადამიანს და ღვთის უსაბღვრო მოწყალებას მოიბიდავს. სწორედ ამ ღროს გასმა ტელეფონის ზარი. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რეკავდა, მეუფისთვის ღირსი მამის იოსებ ალავერდელის ხსენების დღე რომ მიეღოცა. ბევრჯერ

გვინახავს, უწმინდესთან ტელეფონით საუბრისას როგორ აკეთებს მეუფე მეტანიას და როგორი კრძალვით ესაუბრება მას. უწმინდესმა მიღოცვასთან ერთად ალავერდის მონასტრის აღდგენა-განახლების საქმეც და-ლოცა. „პატრიარქმა გვაკურთხა და ჯარასავით დატრიალდა ყველაფერი“ – არაერთხელ უთქვამს მეუფეს.

ეკლესიის დანგრეული ციხე-გალავნების – მონასტრების – განახლება სოფლისთვის შეუმჩნეველი არასდროს რჩება; ისინი წუთისოფლის სამხილებლად წამოიმართებიან. „ნუ გიყუარნ სოფელი ესე, ნუცა-და რამ არს სოფლისად ამის... სოფელი ესე წარხდეს და გულის თქუმად მისი, ხოლო რომელმან ყოს ნებად ღმრთისად, იგი ეგოს უკუნისამდე“ (1 იოან. 2. 15, 17).

წუთისოფლის დინების საპირისპიროდ სვლას ყოველთვის ცილისწამების ბლვა მოსდევს. „არავინ იცის, რომ არაფრის მქონე ვარ. ალავერდელობა ღვთის წყალობად მერგო“ – ტკივილით უთქვამს მეუფეს.

ღვთისმსახურების სიხარული კი არასდროს იღევა!

„გოლგოთა მხოლოდ შენით და შენთვის გასავლელად იქნება სასიხარულო, უფალო, რომელსა გშვენის დი-დება მამისა თანა სულით წმიდითურთ აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ“.

24 დეკემბერი, 2009 წელი

ახალი შუამთის

ხახულის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის

მონასტრის წინამძღვარი

იღუმენია იოანა

ქრისტესმიერ დებთან ერთად